ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე

განმარტებითი ბარათი

1. ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 12 405,6 ათასი ლარით. 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2022 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 3550,4 ათასი ლარით, მ.შ. საკუთარი საბიუჯეტო სახსრები 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1922,4 ათასი ლარით.

შემოსავლები განსაზღვრულია 11671,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი N04-03/134619 10/11/2021) **7700,5 ათასი ლარი** (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 5930,2 ათას ლარს ხილო დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 6300,4 ათას ლარს. სულ საგადასახადო შემოსავლები 2022 წლის ბიუჯეტით 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1770,3 ათასით, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 1400,1 ათასით) **აქედან:**

დამატებული ღირებულების გადასახადი 5500,5 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 4030,2 ათასი ლარს, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 4 400,4 ათას ლარს, 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1470,3 ათასით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 1 100,1 ათასით). ქონების გადასახადი 2 200,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 1900,0 ათას ლარს, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გაზრდილია 300,0 ათასით);

სხვა შემოსავლები 2158,4 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2306,0 ათას ლარს, შემცირებულია 147,6 ათასი ლარით.) **აქედან:**

შემოსავლები საკუთრებიდან - 1977,4 ათასი მათ შორის: დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები 30,0 ათასი ლარი, რენტა - 1947,4 ათასი ლარი, მ.შ: მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის 1200.0 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 702,4 ათასი ლარი. შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში 45,0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალი შეადგენს 141,0 ათასს ლარს.

ჯარიმები, სანქციები და საურავები 40,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 433,7 ათასი ლარის ოდენობით (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 424,0 ათას ლარს, გაზრდილია 10,0 ათასით).

გრანტები გამოყოფილია 1813,0 ათასი ლარი აქედან: საქართველოს 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით 1569,3 ათასი ლარი, გრანტები მიმდინარე დანიშნულების (სართაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული) 33,7 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი 210.0 ათასი ლარი - (დელეგირებული უფლება–მოსილების განსახორციელებლად) რომელიც მიიმართება შემდეგი დანიშნულებით:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 110.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ"საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარი;

დ) ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია 300,0 ლარით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს. მთლიანობაში ნაშთის ცვლილების ჩათვლით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 12 405,6 ათას ლარს.

2. ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებისთვის საჭირო თანხების, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ: 12 405,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე დაიხარჯება 3619,0 ათასი ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებაზე დაიხარჯება 1136,3 ათასი და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება შეადგენს 2119,0 ათასი ლარს.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური დაფინანსდება 143,7 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდი მოცულობა განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარი;

მგფ -ის და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე გამოყოფილია 120,0 ათასი ლარი;

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე (პროგრამული კოდი 02 00) – **2674,1 ათასი ლარია მიმართული, აქედან:**

გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 020101) პირველ ეტაპზე (დიდთოვლობა, სტიქია და სხვა საგზაო სამუშაოები) დაიხარჯება 70,0 ათასი ლარი.

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02) 285,2 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით მიიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტიორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე (მეორე ეტაპი).

გარე განათების (პროგრამული კოდი 02 02) ხარჯებზე მიიმართება 410,1 ათასი ლარი; მ.შ. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე 75.1 ათასი ლარი; გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე 5.0 ათასი ლარი, გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯისთვის გამოყოფილია 330,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03) ბიუჯეტის პროექტით 1483,8 ათასი ლარია გათვალისწინებული აქედან: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარულებით ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისთვის (მეორე ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართება 1284,1 ათასი ლარი, ,,ბუკისციხის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შექმნის გზით თემის აღორძინების ხელშეწყობა"მე-2 ეტაპი მიიმართება 33,7 ათასი ლარი (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი) და სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებზე 166,0 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენის პროგრამაზე გამოყოფილია 300.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს" დაფინანსებაზე გამოყოფილია - 125,0 ათასი ლარი.

დასუფთავებასა და გარემოს დაცვის (პროგრამულიკოდი 03 00) პრიორიტეტზე გამოყოფილია **682,5** ათასი ლარი. მათ შორი: დასუფთავება და ნარჩენების გატანა 640,5 ათასი ლარი, ხოლო მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 42.0 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება (პროგრამული კოდი 04 00) **1641,0 ათასი ლარი, აქედან** :

ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი"-ს დაფინანსებაზე 1 550.0 ათასი ლარია განსაზღვრული.

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 70,0 ათასი ლარი მოხმარდება;

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამაზე 21.0 ათასი ლარია განსაზღვრული;

კულტურა რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) **2535,0 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან:** სპორტის განვითარების ხელშეწყობას 870,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა

ორგანიზების ცენტრის დაფინანსებაზე – 475,0 ათასი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს დაფინანსებაზე - 200,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ სარაგბო კლუბი ღონეს დაფინანსებაზე მიიმართება - 170,0 ათასი ლარი.

სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე- 25,0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 1555,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე – 780,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დაფინანსებაზე – 390,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებაზე - 380,0 ათასი, საახალწლო ღონისძიებებზე დაიხარჯება 5.0 ათასი ლარი.

ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებას 50.0 ათასი ლარი მოხმარდება.

ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსდება- 50,0 ათასით.

რელიგიის დაფინანსებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) **დაფინანსდება 1254,0 ათასი ლარით აქედან :**

- საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდება 140,0 ათასი ლარი,
- კორონა ვირუსის (covid -19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებები 60,0 ათასი ლარით;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი 2,0 ათასი ლარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება 155,0 ათასი ლარი
- დევნილთა დახმარება 11,0 ათასი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 21,0 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი 505,0 ათასი ლარი ;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 200,0 ათასი ლარი;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 20,0 ათასი ლარი;
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება 140,0 ათასი ლარი.

სულ ჯამში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 12405,6 ათას ლარს.

პატივისცემით,
მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი : მაია კუტუბიძე

შეთანხმების ფურცელი

შეთანხმებულია ---

---------- სამსახურებთან.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ---------- ზექა შენგელია.

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **მ. გოგოლაძე**

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

პროექტი მოამზადა: მ. გოგოლაძე

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებას წარმოადგენს. დადგენილების პროექტი შეესაბამება ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტს, რომელის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლითაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების წესები.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ბექა შენგელია